

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - „საქართველოს საზღვრები“, ერთ-ერთი მიმართულების - „საქართველოს საზღვრები XIX-XXI საუკუნეებში“ თემის: „კულტურული მემკვიდრეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე“ შესასრულებლად, კერძოდ: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასათვალიერებლად და მათ შესახებ ინფორმაციის ადგილზე მოსაძიებლად, 2024 წლის 29 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით ახმეტის მუნიციპალიტეტში, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი **ირინა არაბიძე**. საკვლევი მასალა, რომელიც დამუშავდება და გამოყენებული იქნება წლიურ ნაშრომში მოძიებული იქნა სოფლებში: ომალო, ილურთა, დოჭუ, ბოჭორმა, ჭილო, დართლო, კვავლო, დანო, ჭეშო, ფარსმა, გირევი.